

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

“გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკსა (მაინის ფრანკფურტი) (“KfW”) და საქართველოს მთავრობას (“მსესხებელი”) შორის 1,498,491.29 ევროს კონსოლიდაციის თაობაზე” ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების განხილვის შესახებ

საქართველოს საგარეო ვალის კონსოლიდაციისა და რესტრუქტურისაციის შესახებ 2004 წლის 21 ივლისს პარიზის კლუბის კრედიტორებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში მომზადდა შეთანხმება “საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ,” რომელსაც ხელი მოეწერა 2005 წლის 30 დეკემბერს. ეს შეთანხმება, როგორც საერთაშორისო სტატუსის მქონე წარდგენილია საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ.

აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე მომზადდა და 2006 წლის 20 იანვარს ხელი მოეწერა “გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკსა (მაინის ფრანკფურტი) და საქართველოს მთავრობას შორის 1,498,491.29 ევროს კონსოლიდაციის თაობაზე” შეთანხმებას.

ხელშეკრულების პირობები სრულად შეესაბამება 2004 წლის 21 ივლისს პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურისაციის შესახებ მიღწეული შეთანხმების პირობებს. კერძოდ, 2025 წლამდე გადავადებას ექვემდებარება გერმანიის მიმართ საქართველოს ვალის 2004-2006 წლებში გადასახდელი ზემოხსენებული თანხა.

ამგვარი გადავადება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვნად უშუალებებს საგარეო ვალის მომსახურების ტვირთს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან აღნიშნული კრედიტის დაფარვა როგორც ოფიციალური დახმარების კრედიტისა (ODA), მოწყობა 2016 წელს. ამასთან, აღნიშნული კრედიტი შეიძლება ვალის კონვერსიის პროგრამის განსახორციელებლად იქნეს გამოყენებული.

გამომდინარე იქიდან, რომ “გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკსა (მაინის ფრანკფურტი) (“KfW”) და საქართველოს მთავრობას (“მსესხებელი”) შორის 1,498,491.29 ევროს კონსოლიდაციის თაობაზე” ხელშეკრულება არ წარმოადგენს საერთაშორისო სტატუსის მქონეს, საქართველოს “სახელმწიფო ვალის კანონის” შესაბამისად საქართველოს მთავრობა მიუარავეს წინადადებით საქართველოს პრეზიდენტს, რათა ამ სახის ხელშეკრულებები წარდგენილი იქნას პარლამენტში სარატიფიკაციოდ.

აღნიშნულის და საქართველოს მთავრობის მ.წ. 22 თებერვლის მთავრობის სხდომის №7 ოქმის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა აღნიშნული განკარგულების პროექტი.